ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის
ელექტრონული ტენდერის
სატენდერო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი #4

ქ. თბილისი 31.12.2013 წ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ირაკლი აბესაძე** – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის მერის მოადგილე;
**გრიგოლ გურგენიძე** – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
**ილია ათანასოვი** – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
**აკაკი ჯოხაძე** – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;
**მალხაზ ჭამპურიძე** – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

**დღის წესრიგი:**

**ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (განცხადების №SPA130023991) შეწყვეტის საკითხის განხილვა.**

**მოისმინეს:**

სატენდერო კომისიის წევრის ი. ათანასოვის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დამტკიცდა ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტი. ასეთ შემთხვევაში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია თითოეულ პრიორიტეტზე, ყოველთვიურად გასცეს თანხა არა უმეტეს გასული საბიუჯეტო წლის დამტკიცებული ასიგნებების 1/12-ისა. ქ. თბილისის საკრებულოს 2012 წლის 15 დეკემბრის 15-49 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარებისთვის გამოყოფილი ასიგნებები შეადგენდა 122 382 211 ლარს. მათ შორის, ტრანსპორტის განვითარების პროგრამა დაფინანსებული იყო 56 050 000 ლარით, ხოლო საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-პატრონობის პროგრამა - 66 332 211 ლარით. შესაბამისად, ამ პრიორიტეტზე საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, 2014 წელს გასაცემი თანხის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ყოველთვიურად 10 198 517 ლარს.

შემდგომ, მოისმინეს სატენდერო კომისიის წევრის ა. ჯოხაძის გამოსვლა, რომელმაც განმარტა, რომ ზემოაღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, გარდა ახალი ავტობუსების შეძენისა, უნდა დაფინანსდეს ყოველწლიურად მიმდინარე შემდეგი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ღონისძიებები: ცენტრალური ქუჩების აღდგენა-რეკონსტრუქცია, შიდა რაიონული გზების მოვლა-შეკეთება, საგზაო ნიშნების და შუქნიშნების მოვლა-შენახვა, შუქნიშნების მართვის ცენტრის ექსპლუატაცია, ვერტიკალური და ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნები, საგზაო ნიშნების შეძენა-მონტაჟი, მეტროს სადისპეტჩეროს რეკონსტრუქცია და სხვა პროექტები, რაც ჯამურად შეადგენს 83 400 000 ლარს. სატენდერო პირობების შესაბამისად, მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი ავანსის (ავტობუსების ფასის 30%, დღგ-სა და სერვისის ღირებულების გარეშე) მოცულობა შეადგენს: KAREX (IVECO) – 14 729 954 ლარს, თეგეტა თრაქ ენდ ბას (MAN) – 13 801 629 ლარს, Solaris Bus & Coach S.A – 14 290 134 ლარს, Zhengzhou Yutong Bus Co..LTD – 8 671 584 ლარს და XIAMEN GOLDEN DRAGON BUS CO – 8 679 828 ლარს. იმის გათვალისწინებით რომ 2014 წელს ყოველთვიურად გასაცემი ასიგნებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 198 517 ლარს, ნათელია, რომ თბილისის მერიის მიერ თუნდაც ზემოთაღნიშნული ყოველწლიურად მიმდინარე პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი ღონისძიებების საერთოდ განუხორციელებლობის შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნება ავანსის სახით მითითებული თანხების გადახდა ზოგიერთი კომპანიისთვის, ხოლო ავანსის გადახდის შემთხვევაში შეუძლებელი გახდება ზემოთ მითითებული სხვა ღონისძიებების განხორციელება. ასევე, შეუძლებელი იქნება სატენდერო პირობების თანახმად დარჩენილ

70%-ის შესაბამის თანხაზე აკრედიტივის გახსნა, რადგან ისიც მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ყოველთვიურად გასაცემი თანხის ოდენობას. კერძოდ, აკრედიტივის მოცულობა კომპანიების მიხედვით შეადგენს: KAREX (IVECO) – 34 369 894 ლარს, თეგეტა თრაქ ენდ ბას (MAN) – 32 203 801 ლარს, Solaris Bus & Coach S.A – 33 343 645 ლარს, Zhengzhou Yutong Bus Co..LTD – 20 233 696 ლარს და XIAMEN GOLDEN DRAGON BUS CO – 20 252 933 ლარს. შესაბამისად, თბილისის მერია ამ წესის შესაბამისად ვერ შეძლებს ვერც საბოლოო ანგარიშსწორებას ავტობუსების შემოყვანის შემდეგ. ასევე, თბილისის 2013 წლის შესაბამისი პრიორიტეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან ზემოაღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების შემდეგ რჩება 38 982 211 ლარი, რაც საერთოდ არ არის საკმარისი ტენდერში მონაწილე ყველა კომპანიის მიერ შემოთავაზებული ფასის (დღგ-ს ჩათვლით) დასაფინანსებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ი. აბესაძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის გამო წარმოიშვა ზემოთ განხილული პრობლემები, ქ. თბილისის მერია იძულებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურები. ამასთან, დაამატა, რომ თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის საკრებულოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში, თბილისის მერია მზად არის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით მიიღოს გადაწყვეტილება ავტობუსების შესაძენად ტენდერის თავიდან გამოცხადების შესახებ.

**კომისიამ დაადგინა:**

1. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის გ[1]) ქვეპუნქტის მიხედვით შეწყვეტილ იქნას ქ. თბილისის მერიის მიერ ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (განცხადების №SPA130023991) და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების მე–2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ" ქვეპუნქტის შესაბამისად ზემოაღნიშნულ ტენდერს მიენიჭოს სტატუსი –ტენდერი შეწყვეტილია.

| | |
|---|---|
| **კომისიის თავმჯდომარე** | /ირაკლი აბესაძე/ |
| **კომისიის წევრი** | /გრიგოლ გურგენიძე/ |
| **კომისიის წევრი** | /ილია ათანასოვი/ |
| **კომისიის წევრი** | /აკაკი ჯობაძე/ |
| **კომისიის წევრი** | /მალხაზ ჭამპურიძე/ |